თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7402013

ნომერი: AR11070780

თარიღი : 18.12.2024

გაცემის თარიღი : 06.03.2025

გაცნობის თარიღი : 06.03.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჩუბინიძე პ/ნ 01007011985
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. კორ. 5 ბ. 51

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: N328 (201832322)
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 19.11.2019

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით მაქაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი შელია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011059248

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 30000.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 21016.9
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 15911.75
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 7227.97
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 1423.8
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 2129.4
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 2081.61
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 268.22
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 2780.75
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 60400.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 38400.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 22000.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 27.65
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 17.45
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 10.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3235.48 მ2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 11014.09 მ2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 11554.2/30000= 0.4

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. სატიტულო ინფორმაცია. -> .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.:
- მიუთითეთ ბლოკის ნომერი.

2. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:
- წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის დასკანერებული ტოპოგრაფიული გეგმა, შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპით და ხელმოწერით
- გენერალური გეგმა უნდა მოიცავდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს, ღერძების ხაზებს, გაბარიტულ და ღერძულა ზომებს, მიწის ნაკვეთზე საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების გრუნტთან მიბმის მონაცემებს/ნიშნულებს, გადახურვის ნიშნულებს, ატმოსფერული ნალექების გადასვლის მაჩვენებლებს.
- გენერალური გეგმა უნდა შეესაბამებოდეს შეთანხმებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემას. შესაბამისად დაიტანეთ აღნიშნულის გათვალისწინებით ტროტუარები , სამანქანო გზა და შესასვლელ-გამოსასვლელი სამანქანო გზები, ასევე მიუთითეთ პარამეტრები.
- მიუთითეთ საპროექტო ნიშნულები და 0.00 ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტურ ნიშნული.
- დაიცავით გრგ-თი განსაზღვრული სართულიანობა და სიმაღლე, ასევე გადახურვის ნიშნული წარმოდგენილი გეგმარებით დაკავებული სართულია. შესაბამისად დაიცავით გრგს დადგენილი სართულაინობა (4 სართული).
- დაიტანეთ განაშენიანების რეგულირების ხაზები.

3. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი

AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.:

- წარმოადგინეთ გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი.

4. წარმოდგენილ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები და წერილები, საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით.

5. .განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათი.:

- განიმარტოს ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებით.

6. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში)..კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :

- მიუთითეთ შეთანხმებული ბლოკების კოეფიციენტები.
- კოეფიციენტები გაიყოს მიწის ნაკვეთზე გავრცელებული რეკრეაციული ზონა 2-ის (რზ-2) ფართობის გამოკლებით (17546 კვ.მ-ზე).

7. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:

- წარმოდგენილ იქნას სრულყოფილი გრაფიკული დოკუმენტაცია დამუშავებული 41-ე და 732-ე დადგენილებების შესაბამისად. გეგმებზე დაიტანეთ ავეჯი.
- წარმოდგენილ იქნას ანალიზის ცხრილები და პირობითი აღნიშვნების ფურცელი
- ყველა სართულზე მიუთითეთ ნიშნულები.
- დაიტანეთ აბსოლიტური ნიშნული.
- მიუთითეთ ჭრილის ხაზები.

8. შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.:

- წარმოდგენილი ჭრილების და ფასადების დოკუმენტაცია შეიცავს ტექნიკურ ხარვეზს ვერ ხერხდება აღნიშნულის გადამოწმება. შესაბამისად საჭიროა შეამსუბუქოთ ფაილების მოცულობა.
- დაიტანეთ ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომები, სართულებისა და არქიტექტურული ნაწილების მიხედვით ნიშნულები, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ნულოვან ნიშნულთან მიმართებაში ჩვენებით. შენიშვნა: შენობა-ნაგებობის ფასადის ნახაზზე უნდა აისახოს ფასადზე განთავსებული ყველა ღიობისა და არქიტექტურული დეტალის ზომები.
- წარმოადგინეთ ფასადების დეტალური პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს გარე კედლების საფარის, ღიობების, გარე ფანჯრისა და კარების, არქიტექტურული გაფორმების, აივნებისა და მსგავსი ნაშვერების ნახაზებს (ცალკეული კვანძების დეტალური ნახაზებს).
- წარმოდგენილ იქნას არქიტექტურული ელემენტების (კარ-ფანჯრები, ჟალუზები და სხვ.), დეტალების (გაფორმების ელემენტები, ნაკეთობები და ა.შ.) და სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია;
- თქვენს მიერ წარმოდგენილი მიწისპირა სართულის განშლა არ არის სრულყოფილი საჭიროა აღნიშნული ხილული და უცილავი ნაწილები მითითოს ფასადებთან ერთად. მიწისპირა სართულის დასადგენად წარმოდგენილ იქნას -9.90, -7.60, -3.60 ნიშნულებზე არსებული სართულის განშლა რელიეფის ხაზისა და ფართის მითითებით. შესაბამისად დაანგარიშდეს მიწისპირა სართული (მიწისპირა სართული, რომლის იატაკის ნიშნულის მიწის ზედაპირიდან ამოწევის საშუალო სიმაღლე 1,8 მეტრამდეა, ხოლო მისი ჭერის მიწის ზედაპირიდან ამოწევის საშუალო სიმაღლე 1,8 მეტრს აღემატება) და აღნიშნულის შესაბამისად მიწისპირა სართულს მიენიჭოს 0.00 ნიშნული, რის შესაბამისადაც უნდა დაკორექტირდეს ჭრილები, ფასადები და გეგმები (ნიშნულების მითითების ნაწილში).

9. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.:

- ს-ო ღერძებში დაპროექტებული ბლოკები აღემატება განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი სართულიანობა.

10. ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). :

- წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალაზე საპროექტო შენობის განთვასების ფოტომონტაჟი.
- ვიზუალიზაციაზე დაიტანეთ ნიშნულები, მოსაპირკეთებელი მასალები და მათი ფერები.

11. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. :

- წარმოადგინეთ კ-1, კ-2 და კ-3 საანგარიშო კროკები.ასევე კ-2 კოეფიციენტის დასადგენად წარმოადგინეთ აივნების პროცენტული ანგარიში შესაბამისი კონტურების ჩვენებით.
- განაახლეთ ხარვეზების შესაბამისად.
- ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისად გადამოწმდება.

12. საჭიროების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით -> სქემის pdf ფაილი:

- წარმოადგინეთ ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

13. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა შესააბამის ველში წარმოდგენილ იქნას „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი #255 დადგენილების მიხედვით, არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებითა („ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“) და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით (“მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების”) დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დასკვნა და შესაბამისად მომზადებული საპროექტო დოკუმენტაცია.

14. კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასებებში საპროექტო ბლოკების განლაგება აღწერილ იქნას წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისად (განლაგება ღერძებში შესაბამისი ბლოკის დასახელებით).

15. საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);
- გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.